პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 212 (13028) | ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

უკასტაკებენ სამუშაოს

□ **ახალციხის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ი. ხარისჩარიშვილი და საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. გოგიბერიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მოსახლეობამ 9 სექტემბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 54.480 ცენტნერის ნაცვლად მიეყიდა 54.700 ცენტნერი რძე. რძის მიყიდვა გრძელდება.

□ **უწვარლის** საწარმოო სამმართველომ, როგორც „კომუნისტის“ რედაქციას საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ზაუტაშვილი ატყობინებს, გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 2.670 ცენტნერი პარკი ნაცვლად 2.630 ცენტნერისა. პარკის მიყიდვა გრძელდება.

□ **სარხერის** საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა 1 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 15.670 ცენტნერი რძე და 630 ათასი ცალი კვერცხი.

სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

მვიდწლედი — ვადამდე!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ქუთაისელ მშენებელთა პატრიოტული თაოსნობა

№ 4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი კისრულობს 15 ოქტომბრისათვის შეასრულოს წლიური დავალება

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის საკითხს.

პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის ჩვენმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, გულდასმით შეაჯამა მიმდინარე წლის განვლილი რვა თვის მუშაობის შედეგები, გამოიანგარიშა არსებული რეზერვები და გადაწყვეტა იკისროს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და საშუალება მოგვცა 8 თვეში გადაჭარბებით შეგვესრულებინა 10 თვის დავალება. გათვალისწინებული მილიონ 481 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებული გვაქვს 2 მილიონ 114 ათასი მანეთის სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოები. 8 თვეში საექსპლოატაციოდ ჩავაბარეთ 6.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რითაც მინაომშენებლობის დავალება 160 პროცენტით გავანაღდეთ.

ვადამდე გადავეცით საექსპლოატაციოდ ორი 24-ბინიანი, ერთი — 36-ბინიანი და ერთი 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე № 3 სკოლა-ინტერნატის კომპლექსი, ახალი საშუალო სკოლა 440 მოსწავლისათვის და საბავშვო ბაღი 100 ბავშვისათვის.

მშენებლობის ღირებულების შემცირების შედეგად განვლილ პერიოდში მივიღეთ 116.800 მანეთი დაგროვება და სახელმწიფოს მოვეცით 41.800 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

გადავსინჯეთ ჩვენ მიერ წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და გადავწყვიტეთ:

1. 1964 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეგასრულოთ 15 ოქტომბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით უზრუნველვყოთ კიდევ 500 ათასი მანეთის სამუშაოთა შესრულება.

2. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აჯამაღლოთ 8 პროცენტით, ხოლო მშენებლობის თვითღირებულება შევამციროთ 3,5 პროცენტით.

3. ყოველი მილიონი მანეთის შესრულებულ სამუშაოზე გეგმით გათვალისწინებული 3.160 კუბმეტრის ნაცვლად გამოვიყენოთ 3.750 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები.

4. წლის ბოლოამდე სახელმწიფოს მივცეთ 170 ათასი მანეთი დაგროვება, აქედან 60 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

5. გეგმით გათვალისწინებული მეოთხე კვარტალის ნაცვლად, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე საექსპლოატაციოდ გადავაცეთ ქუთაისის საკალათო საბჭოს ალმასკომბინატი და მინის ტარის ქარხნის საცხოვრებელი სახლები 2.916 კვადრატული მეტრი ფართობით.

6. კიდევ უფრო ავაჯაღლოთ მექანიზაციის დონე, ვიბრძოლოთ მშენებლობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის და იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ჩაბარებული თვითეული ობიექტის ფასადი „კარგზე“ დაბალი არ იყოს.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მშენებელს ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად.

ა. აბესაძე — № 4 სამშენებლო ტრესტის ქუთაისის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსი, **გ. კოკაესაძე** — პარტბიუროს მდივანი, **რ. სამხარაძე** — პროფკავშირის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე, **ზ. ბურაევი** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **გ. ბურაძე** — კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, **ვლ. ჩოგასხიძე** — კოშკურა ამწეს მემანქანე, **პპ. ბიოსრბაძე** — კალატოზი, **ალ. კვიციანაძე** — ხერო, **ა. გრიგორაშვილი** — მებეტონე, **გ. ხახალეიშვილი** — მეარმატურე.

„ვიმეგობროთ, ვივაჭროთ“!

მოსკოვი, 8 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სამშენებლო და საგზაო მანქანების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელშიც გუშინ დაამთავრა მუშაობა ლუანგოში, დამყარდა ბევრი საქმიანი კავშირი, ხელმოწერილია საეკონომიკო კონტრაქტები 19 მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. საბჭოთა ორგანიზაციებმა გამოფენაზე შეისყიდეს და გაყიდეს 13 მილიონ მანეთისაზე მეტი სხვადასხვა ტექნიკა. მოლაპარაკება ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის სხვადასხვა ფირმასთან და ორგანიზაციასთან კვლავ წარმოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

9 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების სარკანიზაციო განყოფილებათა გამგეების, სამრეწველო და სასოფლო პარტიული კომიტეტების მდივანთა მოადგილეების, საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების საინსტრუქციო თათბირი. თათბირმა განიხილა პარტიული ორგანიზაციების ანგარიშების და არჩევნების მომზადებისა და მოწყობის საკითხი.

პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებისა და არჩევნების მომზადებისა და მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **გ. ა. ბუეგულაშვილმა.**

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაიწყება 15 სექტემბერს და 1 ნოემბრამდე გასტანს.

სამრეწველო-საწარმოო ზონებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში, აგრეთვე მთიანი რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც გავიდა პარტიული კომიტეტების რწმენებათა ვადები, პარტიული კონფერენციები გაიმართება 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებისა და არჩევნებისათვის მომზადების შესახებ ილაპარაკეს: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. **ნ. ი. ნარაჯაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. **ი. ი. სარაჯიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. **ო. დ. ბუხნიკაშვილმა,** ბოლნისის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ, საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. **ა. ბურნაძემ.**

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **პ. ა. როდონოვი.** (საქდესი).

ახალი მიწის ათვისების მაგალითი

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხვდა მშიერი ველისა და ყარაყუმის არხის ზონის ყამირი მიწების ამთვისებლებს. სვერდლოვის დარბაზში შეიკრიბნენ უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკების ყამირის მეგობრობის საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო ადამიანები, რომლებიც დაჯილდოდნენ მოგზაურობით მოსკოვში.

საუბრის დაწყებას წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა დარბაზში გამოფენილი ბამბის ბუჩქები, ხილი, რომლებიც მოწეულია მშიერ ველში.

შუა აზიის ირიგაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. ა. სარკისოვმა თქვა, რომ ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე მშიერ ველსა და ყარაყუმის არხის ზონაში ათვისებულია 85 ათას 500 ჰექტარი ყამირი მიწა. აქ შეიქმნა 16 დიდი საბჭოთა მეურნეობა. მიმდინარე წელს მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება სახელმწიფოს ჩააბარონ ჰექტარზე საშუალოდ 18-20 ცენტნერი ხამი ბამბა, ანუ შარშანდელზე 4,6 ცენტნერით მეტი.

ყამირის მეურნეობათა მუშაობის შესახებ ილაპარაკეს № 6 საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. უსმანოვმა, საბჭოთა მეურნეობა „ფარხადის“ დირექტორმა კ. ბატიროვმა, № 26 საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. ხალმატოვმა, საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვის“ დირექტორმა ნ. ჩუნგუშევმა. ინტერესით მოისმინეს შეხვედრის მონაწილეებმა № 6 საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის კ. აბდურაზაკოვის, თურსუნოი ახუნოვას დის — მექანიზატორ ი. ახუნოვასა და სხვათა გამოსვლები, მათ ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც საუბრის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრობის მოწინავეებს უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ყამირის მიწების მოწინავე ბამბის მოსავლელთა შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები დ. ს. პოლიანსკი, ვ. ი. პოლიაკოვი, ი. ს. ნასრიდინოვა, ე. ე. ალექსეევსკი, ა. ა. ეფეევსკი. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის სამხედრო დელეგაცია

მოსკოვი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ი. ბ. ჩავანი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, აგრეთვე ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ტრიღოკი ნ. კაული.



მილოცვა დემოკრატიული კორეის ხალხს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 16 წლისთავთან დაკავშირებით ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიკოიანმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ამხანაგებს კიმ ირ სენსა და ცოი ენ გენს. დეპეშაში ნათქვამია, რომ საკავშირო ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მთელი საბჭოთა ხალხი ამ დღესასწაულს ულოცავენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მთქმე კორეელ ხალხს.

საბჭოთა ადამიანები კორეელ ხალხს უსურვებენ ახალ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობაში, დემოკრატიულ საფუძველზე სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

ბულგარეთის თავისუფლების დღის გამო

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში სტოიან დ. კარაჯოვმა 9 სექტემბერს დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის მე-20 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი და ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ლ. ი. ილიჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. ნასრიდინოვა და სხვები.

სტუმრებს შორის იყვნენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის დელეგაცია მინისტრის, კულტურისა და ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარის პეტრე ვუტოვის მეთაურობით, სხვა ბულგარელი მეგობრები, უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები.

სტუმრებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტოიან დ. კარაჯოვმა.

მხურვალედ შეხვდნენ დარბაზობის მონაწილენი ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის გამოსვლას.

ამხანაგების სტოიან დ. კარაჯოვისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვების დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

დარბაზობამ ამხანაგური მეგობრობისა და ძმური გულთადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ახალი შეხვედრა იტალიურ ხელოვნებასთან

მოსკოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ყოველი შეხვედრა „ლა სკალას“ თეატრის კოლექტივთან სულ ახალ ახალ სიხარულს ანიჭებს მუსიკის მოყვარულთ. დღეს სტუმრებმა მეორედ უჩვენეს ჯ. პუჩინის „ტურანდოტი“.

„ლა სკალას“ სპექტაკლი გამოირჩევა კომპოზიტორის ჩანაფიქრის ფაქიზი და სწორი განსახიერებით. ბრწყინვალე ოსტატობით ასრულებს ტურანდოტის პარტიას ბირგიტ ნილსონი, საუცხოოდ მღერიან მირელა ფრენი, ბრუნო პრევედი, ნიკოლო ძაკარია, დიდებულად ეღერს გუნდი, მრავალფეროვანია ორკესტრის პალიტრა ჯანანდრეა გავაძენის დირიჟორობით, — ყველაფერი ეს მოწმობს მაღალ კულტურას, დახვეწილ ტექნიკას, ჭეშმარიტად არტისტულ ხელოვნებას.

სპექტაკლს დაესწრნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა. მათთან ერთად ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, იტალიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კარლო ალბერტო სგრანეო მეუღლითურთ, იტალიის მთავრობის დელეგაცია იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მარიო

პარტიული ცხოვრება

ვიყოთ წესდების მოთხოვნათა ერთგულნი

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

იუო კომუნისტური პარტიის წევრი — დიდი ნდობა. აჭარებდე კომუნისტის მაღალ სახელს — ნიშნავს იმას, რომ მუდამ იდგე ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, ამრავლებდე საზოგადოებრივ დოვლათს, მაგალითს აძლევდე სხვებს შრომასა და ყოფაცხოვრებაში! სწორედ სკკპ წესდების ამ მოთხოვნათა ნიშნით წარიმართა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მომხსენებელმა — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა აღნიშნა, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობა პირნათლად ასრულებს საწესდებო მოთხოვნებს. კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ალმავლობის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან. ისინი სათავეში უდგანან მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ხელს უწყობენ მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების ზრდას, რაზმავენ მშრომელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამას თვალნათლივ მოწმობს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევები. მარტო შვიდწლედის ხუთი წლის მანძილზე აჭარის მრეწველობამ ქვეყანას მისცა 27 მილიონ 247 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმაც.

აჭარელმა მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის.

მომხსენებელმა მდიდარ ფაქტიურ მასალებზე დაურდნობით ანალიზი გაუკეთა საწარმო-დაწესებულებათა, საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან ელექტროსელსაწყოების ქარხნის მეგრაგნილე უ. ვარშანიძე, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ოპერატორი გ. ჯიქიძე, მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშა შ. გალოგრე, ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი რ. კეკელიძე, ქობულეთელი მეჩაიეები ე. ზაქარიაძე, ა. ჩამბა, დ. თურმანიძე, ქედელი ნოვატორი მეთამბაქოე ფ. სურგულაძე, ტის მეორე მდივანმა ლ. ბოლქვნაძემ, ქობულეთის სამრეწველო საწარმოო კომიტეტის მდივანმა ნ. ბახტაძემ, ქედის და ხულოს საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნებმა ვ. ნაკაშიძემ და ბ. დავითაძემ ილაპარაკეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლზე კომუნისტების აღზრდის საქმეში. მათ აღნიშნეს, რომ ბათუმის გემთსაშენებლო ქარხანაში, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნამდვილი

საუურადღებო იყო პლენუმზე აგრეთვე მახარაძის მაღაროთა სამმართველოს პარტიიროს მდივნის შ. ჯაველიძის, ბათუმის ნავსადგურის უფროსის ბ. ლომთათიძის, ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. მახარაძის, მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატის ვ. დოლიძის, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ლ. წულუკიძის, აჭარის ასპ ვაჭრობის პინსტრის გ. ბეხიძის გამოსვლები, რომლებმაც ბევრი საქმიანი შენიშვნა გააკეთეს და საუურადღებო წინადადებანი წამოაყენეს.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულ იქნა გზები კომუნისტთა შორის მრავალმხრივი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით.

რ. გორგაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვიყოთ წესდების მოთხოვნათა ერთგულნი

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

მომხსენებელმა — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა აღნიშნა, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობა პირნათლად ასრულებს საწესდებო მოთხოვნებს. კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ალმავლობის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან. ისინი სათავეში უდგანან მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ხელს უწყობენ მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების ზრდას, რაზმავენ მშრომელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამას თვალნათლივ მოწმობს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევები. მარტო შვიდწლედის ხუთი წლის მანძილზე აჭარის მრეწველობამ ქვეყანას მისცა 27 მილიონ 247 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმაც.

აჭარელმა მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის.

მომხსენებელმა მდიდარ ფაქტიურ მასალებზე დაურდნობით ანალიზი გაუკეთა საწარმო-დაწესებულებათა, საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან ელექტროსელსაწყოების ქარხნის მეგრაგნილე უ. ვარშანიძე, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ოპერატორი გ. ჯიქიძე, მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშა შ. გალოგრე, ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი რ. კეკელიძე, ქობულეთელი მეჩაიეები ე. ზაქარიაძე, ა. ჩამბა, დ. თურმანიძე, ქედელი ნოვატორი მეთამბაქოე ფ. სურგულაძე, ტის მეორე მდივანმა ლ. ბოლქვნაძემ, ქობულეთის საწარმოო კომიტეტის მდივანმა ნ. ბახტაძემ, ქედის და ხულოს საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნებმა ვ. ნაკაშიძემ და ბ. დავითაძემ ილაპარაკეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლზე კომუნისტების აღზრდის საქმეში. მათ აღნიშნეს, რომ ბათუმის გემთსაშენებლო ქარხანაში, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნამდვილი

საუურადღებო იყო პლენუმზე აგრეთვე მახარაძის მაღაროთა სამმართველოს პარტიიროს მდივნის შ. ჯაველიძის, ბათუმის ნავსადგურის უფროსის ბ. ლომთათიძის, ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. მახარაძის, მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატის ვ. დოლიძის, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ლ. წულუკიძის, აჭარის ასპ ვაჭრობის პინსტრის გ. ბეხიძის გამოსვლები, რომლებმაც ბევრი საქმიანი შენიშვნა გააკეთეს და საუურადღებო წინადადებანი წამოაყენეს.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულ იქნა გზები კომუნისტთა შორის მრავალმხრივი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით.

რ. გორგაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სახალხო კონტროლიორთა სემინარი

დუშეთი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები. „კომკავშრომის პროექტორების“ შტაბების უფროსები და პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის შტატგარეშე ინსპექტორები.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები“ (ლენინგრადი ე. დიხუაშვილი), „როგორ მოვაწყოთ პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელობა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა“ (მ. მამეჩაშვილი), „კომკავშრომის როლი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ამოცანების შესრულებაში“ (ა. გოგია), „სოფლურთა მონაწილეობა პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის მუშაობაში“ (მ. ხეთაგური), „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის მუშაობა სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის ბრძოლაში“ (მ. ქარსელაძე) და სხვ.

რატომ შემცირდა ხილის მოსავალი?

მეტი ყურადღება ბაღებსა და ვენახებს მესხეთში

ახალციხის რაიონი მებაღეობისა და მევენახეობის ძველთაძველი კუთხეა სამხრეთ საქართველოში. ამჟამად ახალციხის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბაღებისა და ვენახების საერთო ფართობი 5.000 ჰექტარს აღემატება. აქედან საზოგადოებრივ ბაღ-ვენახებს 2.300 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს.

მეტად დიდია მესხეთში მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების პერსპექტივები. მარტო საზოგადოებრივი ბაღები 1970 წლამდე 6.000 ჰექტარს გადააჭარბებს და ვენახების საერთო ფართობი აუკილილ იქნება ამჟამად არსებული 300 ჰექტარიდან 1.000 ჰექტარამდე.

მესხური ვაშლი და მსხალი ხასიათდება კარგი არომატით, სასიამოვნო გემოთი და მაღალი შაქრიანობით. მესხური ვაშლი წლიდან წლამდე კარგად ინახება, ხოლო მსხლებიდან მზადდება უმაღლესი ხარისხის კომპოტები. მესხური ყურძენი მომეტებული მეავიანობისაა. მაგრამ იგი მეტად ჯარმოხიერია, რაც საჭიროა ეფრთ-ული ტიპის სუფრისა და უმაღლესი ხარისხის შამპანური ღვინომასალის მისაღებად.

ვალეს, არალის, ასპინძის, მუსხის, საძელის, ბოლაჯრის კოლეურნეობები, აწყურის და ადიგენის საბჭოთა მეურნეობები კარგად დაუფლნენ მებაღეობის აგროტექნიკას და ყოველწლიურად ხილის უხვ მოსავალსაც იღებენ.

ვენახების კარგი მოვლით ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ ტოლოშის, ოშორის, სმადის, ლულოვნის კოლმეურნეობები და აწყურის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები.

ბაღებისა და ვენახების მოვლა-პატრონობას ყველგან როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ზოგიერთი ხელმძღვანელი ბაღ-ვენახების აღდგენა-განვითარების ნაცვლად ყოველწლიურად ამცირებს მათ ფართობებს. ამის შედეგად რაიონში ასობით ჰექტარი ბაღი და ვენახი იღუპება. მაგალითად, 1964 წელს ძველი და ახალი საზოგადოებრივი ბაღები უხდა იყოს 2.899 ჰექტარი, ფაქტიურად არის 2.597 ჰექტარი. 302 ჰექტარი ვენახის ნაცვლად 120 ჰექტარია.

ბაღები დიდი ზიანდებიან შეამცირეს ნაქალაქევის, ორგორის, აგარის, ზიკილიის, ჯაჯარაქის, ადიგენის და სხვა კოლმეურნეობებმა. სამწუხაროა, რომ სოფელ ორგორის კოლმეურნეობის მწყემსები ზამთარში საწვავად ჩეხავენ „ალჩიის“ ბაღებს. ეს კარგად ცხობილი იყო ორგორის კოლმეურნეობის გამგეობისათვის, მაგრამ არც დამნაშავეთა მიმართ და არც ბაღების აღდგენისათვის ზომები არ მიუღიათ.

ასევე ნადგურდება ნაქალაქევის ბაღები ეარმიის ახლოს „ალგარის“ ნაკვეთზე.

აგროწესების დარღვევით გაშენდა ბაღები წყალთბილის, ჯაჯარაქის, ხიზაბავრის, ნაოხრების და აწყურის კოლმეურნეობებში. ამის გამო ახალშენი ბაღების 25-30 პროცენტი დაიღუპა და გამეჩხერდა.

არადამაკმაყოფილებლად ხორცილდება რაიონში ბაღებისა და ვენახების ავადმყოფობასთან ბრძოლა. ბაღებში ეომბინირებული ნაზავით პირველი წამლობა ჩატარდა 1.180 ჰექტარზე, ნაცვლად 3.158 ჰექტარისა. მეორე და მესამე წამლობა მეტ წილ კოლმეურნეობათა ბაღებში დღემდე არ ჩატარებულა. ამის შედეგადაც საზოგადოებრივ ბაღებში ზოგიერთი დაავადება და ხეხილის მავნებლები გაჩრილდა, რაც დიდ საშიშროებას უქმნის მესხეთის ბაღებს და აუარესებს ხილის ხარისხს.

„სოფლტექმიკის“ მეცნიერთა დაკვირვებამ ვერ ეზხრუნველყოფს საზოგადოებრივი ბაღებისა და ვენახების წამლობას, ხოლო 2.000 ჰექტარზე მეტი საკარმიდამო ბაღები მთლიანად შეუწამლავი რჩება, რის გამო ისინი ავადდება, ჩნდება ბაღის მავნებლები.

აღსანიშნავია, რომ აწყურის, ახალციხის, ადიგენის საბჭოთა მეურნეობებში, ვალეს და ბოლაჯურის კოლმეურნეობებში ბაღების დიდ ზიანს აყენებს ბალლ წლებში- გაჩენილი ხეხილის მავნებლები. ეს ფაქტი ცნობილია, მაგრამ ჯეროვანობით ქმედითი ზომები არ არის მიღებული, დრო კი არ ითმენს, დაავადება ვრცელდება.

ცუდად უვლიან ვენახებს ზიკილიაში, წინტაბნაში, სხვილიაში, ოურაველში, სვირსა და სხვა კოლმეურნეობებში. ვენახები წლების მახძილზე გაუსხლავი, შეუსარავი, შეუწამლავი ყრია მიწაზე.

ამ კოლმეურნეობებში მუდამ ჭრაქი ახიანებს ვენახებს. ფოთლების ნაადრევად ჩამოცვენის გამო რაც არ მწიფდება, მოსავალი ნადგურდება და დიდ მატერიალურ ზარალს ნახულობენ კოლმეურნეობები. მსგავსი მდგომარეობაა აგარაში, წინუბანში, წყარუთში, ზირაში, სვერში, ბოგაში, გიორგიწმინდაში, იდუმალაში, ძველში, სარაში, ორგორაში, მოწისა და ადიგენის საბჭოთა მეურნეობებში.

ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები ხშირად თავს „ამართლებენ“ და უჩივიან ხეხილის მეწლეობას და ვაზის ნაკლებ ყინვაგამძლეობას. ეგები არ არის, რომ მოუვლელი, დაავადებული, გაპარტახებული ბაღებიდან და ვენახებიდან მუდმივად არც უნდა ველოდეთ მოსავალს და არც ყინვაგამძლეობას. იმავე ზონაში კარგად მოვლილ საზოგადოებრივ ბაღსა და ვენახში, საკარმიდამო ნაკვეთებზეც მოსახლეობა ყოველწლიურად ხილ-ყურძენის უხვ მოსავალსაც იღებს და ვაზებიც მეტ ყინვაგამძლეობას იჩენენ.

ბელისტკეველით უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელები კოლმეურნეობების ჯგუფებში, კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიები და საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორები თვეში ერთხელ მაინც რომ ამოწმებდნენ ნარგავების მოვლა-პატრონობის საქმეს, ადვილად ნახავდნენ უპატრონოდ და მოუვლელად მტოვებულ ბაღებსა და ვენახებს.

საჭიროა ბოლო მოეღოს ბაღებისა და ვენახების მოვლა-პატრონობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები ცუდად მოვლილი ბაღებისა და ვენახების აღდგენისა და მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შ. ჭიქვაძე.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალციხის დასაყრდენი პუნქტის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მივლინება „კომკავშრომის პროექტორის“ თხზულებით

გაყინული მეცნიერება

ჩვენს ფაბრიკაში სამასამდე მუშა-მოსამსახურეა. მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა. და აი განსაკუთრებით ახალგაზრდებს ერთი საკითხი გვაღელვებს. დღემდე ვერ ვეღირსეთ კლუბის შენობას, სადაც სამუშაო საათებისგან თავისუფალ დროს შეგვეძლებოდა კულტურულად გართობა და დასვენება. დიდხანს ვოცნებობთ გავშალოთ სხვადასხვა წრეობრივი მუშაობა, მოვაწყოთ სპორტერესო საღამოები და მეცადინეობა. მაგრამ... ამისათვის რომ არაგინ ზრუნავს!

მართალია, ერთხელ, ამ ექვსი წლის წინათ, წამოიწყეს შენებლობა. გათავლისწინებული იყო შენობის ქვედა სართული კლუბისათვის. გამოეყენებინათ, ხოლო ზედა სართულები — მუშათა საცხოვრებელი ბინებისათვის. მაგრამ იმედი მალე ჩაქრა, შენებლებმა, როგორც კი პირველი სართულის კედლები ამოიყვანეს, საქმეს თავი მიანებეს, და 1953 წელს დაწყებული შენებლობას დღემდე ერთი აგური აღარ მიმატებია. ჩვენმა მრავალმა საწვედურმა ვერც საქმე დაძრა ადგილიდან და ვერც სამტრედიის სამშენებლო სამმართველოს შენებლები. ამიტომ „კომუნისტის“ რედაქცია ვთხოვთ დახმარება გაგვიწიოს.

ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკასთან შექმნილი „კომკავშრომის პროექტორის“ შტაბის უფროსი ა. ჭანია, წევრები: გ. კვარაცხელია, ტ. გაგუა, გ. ბერაძე.

ეს წერილი რედაქციამ ამას წინათ მიიღო. „კომკავშრომის პროექტორის“ თხზენილ ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკას ვეწვეთ.

კმაყოფილი არიან აქაური მუშები თავიანთი შრომით, მაგრამ კარგ შრომას რომ კარგი დასვენება და გართობა არ მოსდევს, ამას კი ძალიან წუხან.

კლუბი?!..

ექვსი წლის წინათ დაწყებული მშენებლობის კედლებს დავუყურებთ. აქვე არიან ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ს. ლეკლიკაძე და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ნ. მელია.

— იქნებ კლუბის მშენებლობისათვის თანხები არ არის საკმარისი? — დავინტერესდით.

აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ 1958 წელს მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხაც კი არ იყო ათვისებული. მაშ სად ვეძებთ მიზეზი, რატომ „დაკონსერვეს“ მშენებლობა?

პასუხი ერთია: მიზეზი ტრესტ „საქჩაის“ სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკებისა და ამ სამმართველოს უფროსის კ. როინიშვილის გულგრილობაა.

გაზეთ „კომუნისტში“ ამ საკითხზე ადრეც დაიბეჭდა წერილი. იმხანად მშენებლები დაფიცურდნენ: ადგილზე მოზიდეს 2.500 ტონამდე საშენი მასალა: ხრეში, კირი, 50 ათასი ცალი აგური. ამმართა ხარჩოებიც, დადგეს ამწე-მანქანა „პიონერი“, რომელიც დღესაც მორცხვად დაჰყურებს პირველ სართულამდე ამოყვანილ კედლებს... მას შემდეგ კვლავ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ამ ადგილისაკენ ბევრჯერ ჩაიარეს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მესვეურებმა. მაგრამ ნეტავ არ ჩაეკლოთ, — ამბობენ ფაბრიკის მუშები. — ჩვენი შრომისათვის ვანკუთვნილი საშენი მასალები ზუგდიდის პირველი, ზედა ეწრის, ინგირის და სხვა ჩაის ფაბრიკების რემონტისათვის გამოიყენეს...

დავთვალიერეთ ფაბრიკის მთელი ტერიტორია. აქ სხვა დაუმთავრებელ მშენებლობებსაც შეხვდებით. აი ორი წლის წინათ ფაბრიკის დირექციას 25 ოჯახისათვის სამი ფიფური საცხოვრებელი სახლი შეუძენია. ვარაუდობდნენ პირველი სართული აგურით ამოეყვანათ და ზედ დაეშენებინათ ეს სახლები. დღემდე არც ამას ეშველა. ჯერ კიდევ გასაკეთებელია კარ-ფანჯრები, ჭერი და სხვ. ეს მაშინ, როცა ფაბრიკის მუშების ერთი ნაწილი კერძო, დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს.

საჩივრებსა და მიმოწერას კი ბოლო არ უჩანს. საჭიროა როგორც ამ საჩივრებსა და მიმოწერას, ისე მშენებელთა გულგრილობასაც წერტილი დაეკვას. მშენებლობა კი გაეთნული წერტილიდან დაიძრას.

დროა ტრესტ „საქჩაის“ ხელმძღვანელებიც დაინტერესდნენ სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საქმიანობით.

ბ. ნოდია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

წიაღის მესაიდუმლენი

მეშახტის პროფესია ერთ-ერთი წამყვანი და საპატიო პროფესიაა სახალხო მეურნეობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სათბობი მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, უდიდეს მზრუნველობას იჩენდნენ და იჩენენ ქვანახშირის მომპოვებელთა მიმართ. საბჭოთა მეშახტეები წარმატებით ამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას.

ჩვენი ქვეყნის მეშახტეებისა და შახტმშენებელთა გმირული შრომის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ქვანახშირის ამოღების ზრდის არნახულ ტემპებს. ქვანახშირის მოპოვების მოცულობის მიხედვით უკვე დავეწიეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და გამოვდით პირველ ადგილზე მსოფლიოში.

ამ დიდ წარმატებაში თვალსაჩინოა ჩვენი რესპუბლიკის სათბობის მომპოვებელთა შრომა. საკმარისია აღინიშნოს, რომ გაულო წელს ნახშირის ამოღება თითქმის ხუთჯერ აღემატებოდა 1940 წელს მიღწეულ დონეს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საკრძნობლად გაიუმჯობესოს სათბობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. 1963 წელს საკოქსე ნახშირის გამოღება წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

რიგითი ქვანახშირის ნაცრიანობა 1958 წელთან შედარებით შემცირებულია 4 პროცენტით, რაც ისა ნიშნავს, რომ 1963 წელს რკინიგზის ტრანსპორტი განთავისუფლებულ იქნა დაახლოებით 100 ათასი ტონა ფუჭი ქანის გადაზიდვისაგან.

გარკვეული მიღწევებია მოპოვებული სამთო სამუშაოთა წარმოების საქმეში. წმენდითი სანგრევის წინწაწევა 1963 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 4 მეტრით, ხოლო დატვირთვა წმენდით სანგრევებზე — 15 პროცენტით, მოსამზადებელი გამონამუშევრების გაყვანა 1000 ტონა ნახშირის ამოღებაზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

1963 წელს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შეასრულა, შრომის მაღალი ტემპი კიდევ უფრო გააძლიერა 1964 წელს და სასურველ შედეგებს მიაღწია. ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, გეგმის გადამეტებით ამოღებულია რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი.

აღსანიშნავია, რომ სათბობის მოპოვების გადიდებასთან ერთად საგრძნობლად შემცირდა ქვანახშირის თვითღირებულება. ამის შედეგად ყოველწლიურად კლებულობს გეგმით გათვალისწინებული ზარალი. 1959 წელს სახელმწიფო დოტაცია შეადგენდა 19,2 მილიონ მანეთს, 1963 წელს კი 5,2 მილიონ მანეთამდე დავიდა.

1963 წლის განმავლობაში საწარმოო პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის განხორციელების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვანახშირის მოპოვების პროგრესული მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების ხვედრითი წონის ზრდა. ტყიბულის ქვანახშირის შახტებში ამ მეთოდით ნახშირის მოპოვება 1958 წელთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა.

სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოების ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად გამოსცადეს და ნერგავენ ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების სისტემებს. ფართო გამოყენებას პოულობს ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში მოსამზადებელი გამონამუშევრების შტანგური გამაგრება. ძირითადად ყველა საკოწვიერო საზი და სავენტილაციო დანადგარები გადაყვანილია დისტანციურ მართვაზე, ავტომატიზებულია ტყვარჩელის შახტებში სამაერო გზების მუშაობა. ტყვარჩელის ცენტრალურ გამამდიდრებელ ქარხანაში ერთმა მოდერნიზებულმა დამლექმა მანქანამ შეცვალა შვიდი დამლექი მანქანის მუშაობა.

საყოველთაოდ ცნობილია კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ნ. ყვავაძე, ბ. ჩაფიძე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ჭიკაბერიძე, შ. კვირკაშვილი, ვ. ბიგვავა, ლ. მელნიკოვი, ნ. ბობოხია, ო. სურმანიძე, ს. ტაქოიანი და ო. ლომიძე ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები თავიანთი გამოუშვავების ნორმებს 150-170 პროცენტით აესრულებენ.

მაგრამ მიღწეული შედეგები უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს უახლოეს წლებში ნახშირის მოპოვების გაუმჯობესებისათვის, შახტების რენტაბელური მუშაობისათვის.

1963 წლისა და მომდინარე წლის 8 თვის გეგმა ქვანახშირის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა შახტი, ცალა და უბანი ასრულებდეს ლების გეგმა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით შეასრულდა. ფართო გამოყენებას ამჟამად პოულობს ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში მოსამზადებელი გამონამუშევრების შტანგური გამაგრება. ძირითადად ყველა საკოწვიერო ხაზი და სავენტილაციო დანადგარები გადაყვანილია დისტანციურ მართვაზე, ავტომატიზებულია ტყვარჩელის შახტებში სამაერო გზების მუშაობა. ტყვარჩელის ცენტრალურ გამამდიდრებელ ქარხანაში ერთმა მოდერნიზებულმა დამლექმა მანქანამ შეცვალა შვიდი დამლექი მანქანის მუშაობა.

საყოველთაოდ ცნობილია კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ნ. ყვავაძე, ბ. ჩაფიძე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ჭიკაბერიძე, შ. კვირკაშვილი, ვ. ბიგვავა, ლ. მელნიკოვი, ნ. ბობოხია, ო. სურმანიძე, ს. ტაქოიანი და ო. ლომიძე ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები თავიანთი გამოუშვავების ნორმებს 150-170 პროცენტით აესრულებენ.

ბაგრამ მიღწეული შედეგები უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს უახლოეს წლებში ნახშირის მოპოვების გაუმჯობესებისათვის, შახტების რენტაბელური მუშაობისათვის.

1963 წლისა და მომდინარე წლის 8 თვის გეგმა ქვანახშირის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა შახტი, ცალა და უბანი ასრულებდეს

ქვანახშირის მრეწველობის რეზერვები

◆

დავალებას. მაგალითად, 44 საქმაოლოგატიო უბნიდან 19 უბანმა გეგმა ვერ შეასრულა და საშუალოს დაახლ. 82 ათასი ტონა ქვანახშირი. ეს ჯამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ დაბალია საწარმოო და შრომითი დისციპლინა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საწარმოო სიმძლავრეების ზრდას ხელს უშლის ახალი შახტების შენებლობის მეტად დაბალი ტემპი. ახალი შახტებისა და კორიზონტების მშენებლობა მიმდინარეობს ორადგილიანი ლიფტებით, სამი-ოთხი წლის ნაცვლად, შახტები ჩვენი რესპუბლიკის პირობებში შეიდან-რვა წლის განმავლობაში.

ქვანახშირის მოპოვების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომატევადი პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას. როგორც ცნობილია, ნახშირის მრეწველობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია. ამის შედეგია ის, რომ პროდუქციის თვითღირებულებაში მუშათა ხელფასი 55 პროცენტს შეადგენს. ამიტომ შახტებში ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა და ნახშირის მოპოვების ყოველმხრივი მექანიზაცია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ჩვენი რესპუბლიკის შახტებში ნახშირის დაყრა კონვეიერზე ჯერ კიდევ ხელით სრულდება და მასზე დასაქმებულია ათასზე მეტი მუშა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმულია. ტყვარჩელის № 6 შახტში საექსპლოატაციოდ გადაეცა კომბაინი, მაგრამ ორგანიზაციული და ტექნიკური ნაკლოვანებების გამო საკომბაინე ლავის ნაყოფიერება დაბალია. კომბაინის გამოყენების კოეფიციენტი მცირეა.

ძირითადად მოსამზადებელ სამთო გამონამუშევრების სანგრევებში ქვანახშირისა და ფუჭი ქანის დატვირთვის პროცესი საკვანძო მოსამზადებელ ამოცანებზეა 71 პროცენტით, ჩვენში კი ეს პროცენტი ოცდაათს არ აღემატება. დამტვირთავი მექანიზმების პარკი კიდევ ბევრი გამოყენებულია საშუალოდ 65 პროცენტით, ჩვენს რესპუბლიკაში კი სულ ბევრი 40 პროცენტით. მათი ფაქტიური საშუალო თვიური წარმადობა კიდევ ბევრ წმენდა ქვანახშირის სანგრევებში უდრის 78 მეტრს, ხოლო ფუჭი ქანის სანგრევებში 60 მეტრს, საქართველოს ქვანახშირის მოქმედ შახტებში კი შესაბამისად 60 და 50 მეტრის არ აღემატება, მშენებლობაში მყოფი ვერტიკალური შახტებისა გაყვანის საშუალო თვიური ტემპი 1963 წელს საბჭოთა კავშირის მიხედვით შეადგენდა 40 მეტრს, ჩვენში კი — 18 მეტრს.

საქართველოს ქვანახშირის შახტებში არა თუ წმენდითი და მოსამზადებელი სამთო გამონამუშევრების გაბარება, არამედ უდიდესი ნაწილი ზედაპირული და მიწისქვეშა დამხმარე სამუშაოებისა არ არის მექანიზებული და ავტომატიზებული.

დამხმარე სამუშაო ოპერაციების შესასრულებლად, სადაც შეიძლება განხორციელდეს მექანიზაცია, დასაქმებულია 1.500-მდე კაცი, რომელთა ხელფასი ნაწილ შუშათა საერთო რაოდენობის 20-75 პროცენტს შეადგენს.

ამ მიმართულებით მექანიზაციის 10 პროცენტით განხორციელება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დავზოგოთ 150-200 ათასი მანეთი.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში იმავე დონემდე რომ შევინარჩუნოთ მუშახელის რაოდენობა, რაც საბჭოთა კავშირია მიხედვით მოდის ყოველ 1.000 ტონა ამოღებულ ნახშირზე, ჩვენ შეგვძლებთ დამხმარე სამუშაოებიდან გავათავისუფლოთ 450 კაცი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ამ ღონისძიების განხორციელებით ყოველწლიურად დავზოგავთ 400-450 ათას მანეთს.

საქართველოს შახტ

ჩვენი პლანეჯა ამ დღეებში

საზეიმო საღამოები

მოსკოვი

მოსკოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს კრემლის თეატრში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, დ. ს. პოლიანსკი, ი. ვ. ახდრომოვი, ა. ნ. შელეპინი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის დელეგაცია, კულტურისა და ხელოვნების კომიტეტის მინისტრ-თავმჯდომარის პეტრე ვეტროვის მეთაურობით, ბულგარეთის ელჩი სსრ კავშირში სტოიან კარაჯოვი.

მოხსენება ღირსშესანიშნავი წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ვ. ი. ვორონოვმა.

ბულგარელ მეგობრებს გულითადად მიესალმენ დიდი ეროვნული დღესასწაული ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ა. ნ. ალექსანდროვმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ა. ტიტაევამ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. ს. ზავიალოვამ.

გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის სტოიან კარაჯოვის გამოსვლას.

თბილისი

რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი.

გუშინ ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, სადაც მოაწყეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

საღამო გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ.

მოხსენება „სოციალისტური ბულგარეთის 20 წლისთავი" გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა.

ბულგარეთის სახელოვანი ისტორიული წარსულის, ახალი სოციალისტური ბულგარეთის შესანიშნავი მშრომელების, ბულგარელი ხალხის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ილაპარაკეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მასწავლებელმა ნ. ზაუტაშვილმა, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩაიხსაშენებელი ქარხნის მუშამ ი. შავგულიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ანდღულაძემ.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტს (საკდესი).

„ქალთა წონასწორობის" დოქტრინის საფარქვეშ

ჟენევა, 8 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იუწყება:

18 სახელმწიფოს კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებმა კვლავ დაიცვეს „ძალთა წონასწორობის" კონცეფცია და უარყვეს საბჭოთა წინადადება ატომური იარაღის მიტანის სამუალებათა ლიკვიდაციის საკითხში. მაგალითად, ამერიკის დელეგატმა ფოსტერმა განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებანი ხელს არ აძლევენ შეერთებულ შტატებს, კერძოდ იმიტომ, რომ მათში გათვალისწინებულია რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურვილი ნაღების ლიკვიდაცია.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა და ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა კლუსეკმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტი ერთ ადგილს ტკეპნის იმიტომ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განიარაღების განზრახულების საშუალებით ყველა სახელმწიფოსათვის უშიშროების თანაბარი პირობების უზრუნველყოფის ამოცანებს ცვლიან „შეიარაღების წონასწორობის" კონცეფციით. ამ კონცეფციას იყენებდნენ გამალებული შეიარაღების განხორციელების შესანიღბავად. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მუდამ ესწრაფვის იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უზრუნველყოს რაოდენობრივი და თვისებრივი სამხედრო უპირატესობანი. როგორც კი დასავლეთის სახელმწიფოები აღარ მოუბღაუჭებიან „ძალთა წონასწორობის" დოქტრინას, თქვა საბჭოთა დელეგატმა, ერთბაშად დაისახება ფართო შესაძლებლობანი შეთანხმების მისაღწევად საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებში.

კლუსეკმა დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა პარტნიორებმა, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოიჩინეს არავითარი სურვილი გამოძებნილიყო კომპრომისული ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი. ისინი კვლავ დაბეჯითებით იცავენ თავიანთ პოზიციებს, ამასთანავე უპირველესად უარყოფენ მეორე მხარის წინადადებებს, არცი სურთ სერიოზულად ვანიხილონ ეს წინადადებანი. ასეთ მიდგომას, ბუნებრივია, არ შეიძლება მოპყვეს პროგრესი მოლაპარაკებაში განიარაღების საკითხებზე. დასავლეთმა ეს უნდა გაიგოს.

ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა

ოსლო, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფრიმეტენი" იუწყება, 5-6 სექტემბერს ემილ ლევლიენის თავმჯდომარეობით გაიმართა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის ყრილობისათვის სტორტინგის (პარლამენტი) არჩევნებისათვის მომზადების გეგმები. აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობა. პარტიის ყრილობა დასახულია მოეწყოს 1965 წლის 26-28 მარტს.

თვითნებობა ჰონდურასში

ჰავანა, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჰონდურასის სამხედრო ხუნტამ, რომელსაც პოლკოვნიკი ოსვალდო ლოპეს არელიანო მეთაურობს, რომელმაც სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩაიგდო ხელში ქვეყნის ძალაუფლება 1963 წლის ოქტომბერში, დახოცა 2 ათასზე მეტი კაცი და საყრობილეებში დაამწყვდია 5 ათასამდე კაცი. იგი სასტიკ რეპრესიულ ღონისძიებებს იყენებს ყველა იმათ მიმართ, ვინც ბედავს გაილაშქროს დადგენილი წესების წინააღმდეგ, იუწყება ტეგუსიგალპადან პრესსა ლატინას საგეგტოს კორესპონდენტი.

ჰონდურასის საპყრობილეებში არიან დამწყდეული დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირული მოღვაწეები და სტუდენტთა ლიდერები. ჰონდურასის პოლიტიკური პატიმრები არაადამიანურ პირობებში ჰყავთ. ქალაქ სან-პედრო-სულის საპყრობილის № 6 საკანში 37 პოლიტიკური პატიმარია. მათი პირობები ისეთია, როგორიც ჰიტლერის სიკვდილის საკონცენტრაციო ბანაკებში იყო.

კვლავ რევანშიზმი

ბონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან გრაფლმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ოფიციალურ ბიულეტენში „დოიჩლანდ-უნიონ-დინსტში" დაბეჭდა სტატია, რომელიც მეტად რევანშისტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. იგი კვლავ აცხადებს, რომ ბონი არ ცნობს ოდერ-ნოისეს საზღვრებს. გრაფლი პოლონეთის დასავლეთ საზღვარს უწოდებს „სადემარკაციო ხაზს". „აღმოსავლეთ გერმანიის საზღვარია, — აცხადებს გრაფლი — არა ოდერ-ნოისეს ხაზი, არამედ გერმანია-პოლონეთის ძველი 1937 წლის 31 დეკემბრის საზღვარი". სტატიის ავტორი პოლონეთს ამბობს „გერმანიის რევანშიზმის" საფრთხით.

კიპრიანუ ათენში

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). საბერძნეთმა და კვიპროსმა მიაღწიეს სრულ თანხმობას ყველა იმ საკითხში, რომელიც შეიძლება აღიძრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშრობის საბჭოში კვიპროსის საკითხის გამო. მომავალი კამათი გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშრობის საბჭოში, განაცხადა ათენში კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიპრიანუმ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპანდრეუსთან და თავდაცვის მინისტრ გარუფალიასთან ორი საათის თათბირის შემდეგ. როგორც რეიტერის საკგენტმა კორესპონდენტი ათენიდან იუწყება, კიპრიანუ ჩავიდა იქ გუშინ საღამოს, მიემართება რა ნიუ-იორკში უშიშრობის საბჭოს სხდომაზე, რომელიც განიხილავს კვიპროსის საკითხს.

კვიპროსის ამბებმა დაძაბული ურთიერთობა გამოიწვია საბერძნეთსა და თურქეთს შორის, რომლებიც ნატოს ბლოკში შედიან. წინათ ორივე ამ ქვეყანამ თანხმობა გამოთქვა მონაწილეობა მიეღოთ ნატოს ეგრეთწოდებულ „მრავალმხრივ ატომურ ძალებში" შერეული ეკიპაჟებით.

თუ რა იქნებოდა ახლა, უკვე რომ არსებობდნენ შერეული ეკიპაჟები, ეს ნაჩვენებია კარიკატურაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ინგლისურ გაზეთ „ნიუ-სტეიტსმენში".

კვლავ შეჭრას მოითხოვენ

ანკარა, 7 სექტემბერი. (საკდესი). „ოპოზიციური პარტიები ფიქრობენ, რომ უკვე დიდი ხანია მომწიფდა კვიპროსში სამხედრო ინტერვენციის მომენტი და თურქეთმა დაუყოვნებლივ უნდა ისარგებლოს შეჭრის უფლებით", — წერს დღეს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ძალეთი". გაზეთი აშუქებს თურქეთის ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელობის თათბირს, რომლის მიზანია, განსაზღვროს მისი პოზიცია კამათის დროს, რომელიც კვიპროსის საკითხზე გაიმართება ეროვნულ კრებაში.

„თუ ბერძნები განაგრძობენ ბრძოლას, რომ მიაღწიონ ენოზისს (კვიპროსისა და საბერძნეთის კავშირს), ხაზს უსვამს „ძალეთი", თურქეთი შეიჭრება კვიპროსში.

გაზეთი გადაკვრით ეხება იმას, რომ შესაძლებელია გადადგეს ისმეთ ინენიუ.

„ოჯახური" კინკლაობა

პარიზი, 8 სექტემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ნატოს საბჭოს სხდომა. საბჭოს საქმიანობა მუდამ საიდუმლოებით არის მოცული. ამჯერადაც ასე იყო.

ასეთი საიდუმლოება გასაგებიცაა: ატლანტიკური ბლოკის სტრატეგები განიხილავდნენ მტკივნეულ „ოჯახურ" საკითხს კვიპროსის მდგომარეობისა და ნატოს ორი წევრი ქვეყნის — საბერძნეთისა და თურქეთის ურთიერთობის შესახებ.

ატლანტიკური საბჭო შეიკრიბა თურქეთის მუდმივი წარმომადგენლის ბირგის თხოვნით. როგორც ცნობილი გახდა ნატოსთან დაახლოებულ წრეებში, საბჭომ მოისმინა ბირგის მოხსენება კვიპროსის საკითხზე. ბირგომ, კერძოდ, ბრალი დასდო საბერძნეთს, რომ მან კვიპროსში გაგზავნა დივიზია, რომელიც მთლიანად ნატოს იარაღით არის აღჭურვილი.

ა. ნოვოტნის ვიზიტი

პრაღა, 9 სექტემბერი (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით 1964 წლის 21-დან 26 სექტემბრამდე იუგოსლავიაში ოფიციალურ ვიზიტად ჩავა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი მეუღლითურთ. ამას იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

სენატი პატივს სცემს პ. ტოლიატის ხსოვნას

რომი, 9 სექტემბერი (საკდესი). იტალიის სენატმა, რომელმაც მუშობა განაახლა გუშინ საზეიმოდ აღდგენის შემდეგ, თავის პირველ სხდომაზე პატივი სცა პალმირო ტოლიატის ხსოვნას. ტოლიატის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა კომუნისტმა სენატორმა უმბერტო ტერაჩინიმ.

პალმირო ტოლიატის ხსოვნას პატივი სცეს აგრეთვე სენატორმა იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიისაგან სკაგეტემ, სენატორმა სოციალისტური პარტიისაგან ტოლომ, სენატორმა იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ლამი სტარნუტიმ, სენატორმა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან მონნიმ და სენატორმა ლიბერალური პარტიისაგან ბატალიამ. ყველა ორატორმა აღნიშნა ის უდიდესი როლი, რასაც პალმირო ტოლიატი ასრულებდა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ომისშემდგომ ისტორიაში.

სამარცხვინო აქტი

მონტევიდეო, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ურუგვაის მთავრობის ეროვნულმა საბჭომ მიიღო დეკრეტი კუბასთან დიპლომატიური, საკონსულო და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

დეკრეტი მიიღეს სწორედ იმ მომენტში, როცა მთავრობის სახლის წინ მიმდინარეობდა მასობრივი მანიფესტაცია კუბასთან ურთიერთობის შენარჩუნებისათვის. დეკრეტის მიღებისთანავე ქალაქის ცენტრში გამოიყვანეს ჯარები, მთავრობის შენობებთან და ამერიკის საელჩოსთან დააყენეს გაძლიერებული ყარაულები.

არაბული საზელმწიფოების მეთაურთა თათბირი

ალექსანდრია, 7 სექტემბერი. (საკდესი). არაბული სახელმწიფოების მეთაურთა მეორე თათბირზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნასერი. მან განაცხადა, რომ პირველი თათბირის მიზანი იყო განემტკიცებინა არაბთა თავდაცვითი შესაძლებლობანი იმის გამო, რომ სულ უფრო იზრდება საფრთხე ისრაელის მხრივ. ახლანდელ თათბირზე, აღნიშნა ნასერმა, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა შესრულდა ამ გადაწყვეტილებათაგან.

თათბირის თავმჯდომარემ ემირმა ფეისალმა (საუდის არაბეთი) მოუწოდა თათბირის მონაწილეებს თანამშრომლობისა და ძმური სოლიდარობისათვის.

შემდეგ გამოვიდა არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი ხასუნა. მან გამოთქვა რწმენა, რომ თათბირს მოჰყვება „არაბთა მეცადინეობის შემდგომი კონსოლიდაცია ამათ ერთობლივ პოლიტიკურ და სამხედრო მოქმედებაში".

თათბირზე წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა გამოგზავნეს. თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის ტექსტი.

ამის შემდეგ თათბირი მუშაობას განაგრძობდა დახურულ დარბაზში.

ოფიციალურ სხდომებთან ერთად არაბული სახელმწიფოების მეთაურთა შორის ეწყობა ორმხრივი შეხვედრები. რომლებზეც განიხილავენ ურთიერთსაინტერესო საკითხებს.

6 სექტემბერს მთელმა დღემ — დახურულ სხდომათა ხუთმა საათმა — ჩაიარა არაბთა გაერთიანებული არმიის შექმნასთან დაკავშირებული მახვხერო საკითხების განხილვისა და შესწავლის ნიშნით.

ადგილობრივი პრესა გუშინდელ სხდომებს ახასიათებს როგორც „ყველაზე დიდმნიშვნელოვანს" არაბებისა და არაბთა ქვეყნების ლიგის ერთობლივი მოქმედების მთელ ისტორიაში".

ალექსანდრია, 9 სექტემბერი (საკდესი). არაბეთის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირის გუშინდელი სხდომის

სხდომა დამთავრდა იმით, რომ მიაღწიეს შეთანხმების ყველა სამხედრო საკითხზე. მიღწეულია შეთანხმება არაბთა გაერთიანებული არმიის შექმნასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე. ამავე დროს ხანგრძლივი დისკუსიის მსვლელობაში, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა, აღიძრა არაბთა გაერთიანებული არმიის შექმნის გეგმებთან დაკავშირებული სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამო აგრეთვე მიაღწიეს ურთიერთგაგებას.

ეს განაცხადა დღეს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებათა მიღებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს არაბთა თავდაცვისათვის. ამ წარმომადგენელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად და სავსებით მოიწონეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამაერთიანებელი ნასერის წინადადება, რომელიც ეხება მთელი არაბი ერის მიზნებს.

ჩომბეს პოლიციური ოპერაციები

ბრაზავილი, 8 სექტემბერი. (საკდესი). იმ დროს, როცა ადის-აბებაში მიმდინარეობს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სესია კონგოს საკითხზე, ჩომბეს მითითებით კვლავ წარმოებს კონგოს (ბრაზავილის) და მალის იმ მოქალაქეთა მასობრივი განდევნის ოპერაციები, რომლებიც კონგოს (ლეოპოლდვილის) ტერიტორიებზე ცხოვრობენ.

ბრაზავილის სამდინარო ნავსადგურში ყოველდღე შედიან ლეოპოლდვილის გემები, რომლებშიც სხედან კონგოელი და მალიელი განდევნილი მოქალაქენი.

არაოფიციალური მონაცემების თანახმად კონგოელ (ბრაზავილი) ლტოლვილთა საერთო რიცხვი შეადგენს დაახლოებით 20 ათას კაცს

გაფანტრებული ბრძოლები კონგოში

პარიზი, 8 სექტემბერი. (საკდესი). კონგოელ პატრიოტთა ამბოხებულმა რაზმებმა, რომლებიც ჩრდილოეთ კატანგაში მოქმედებენ, ახალი წარმატებები მოიპოვეს, მათ დაიკავეს ორი დიდი ქალაქი, ოსსოა და ბუმბა, რომლებიც მდებარეობენ მდინარე კონგოს მარჯვენა სანაპიროზე. ამის შესახებ იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გაფფორებული ბრძოლები აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის გაიმართა ქალაქ ბოენდეს რაიონში (კონგოს ეკვატორული პროვინცია). ლეოპოლდვილის ხელისუფლებს გათვალისწინებული აქვთ, თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ ქალაქს, რომელიც უკანასკნელი დიდი დასახლებული პუნქტია ეკვატორული პროვინციის დედაქალაქისაკენ აჯანყებულთა წინსვლის გზაზე, და ამიტომ სასწრაფოდ გადაყავთ ბოენდეს რაიონში მაზეული ძალები და ავიაცია. როგორც რეიტერის საკგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის თვითმფრინავები ტ-28, რომლებსაც კუბელი კონტრრევოლუციონერები მართავენ, ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენენ ბოენდელებს მიმავალ გზებს და ცდილობენ ხელი შეუშალონ აჯანყებულთა რაზმების წინსვლას. ამერიკის თვითმფრინავებმა შეცდომით ცეცხლი დაუშინეს მთავრობის ჯარების მიერ დაკავებულ პოზიციებს, რის შედეგად არიან დაზიანებული და დაჭრილნი.

ბელგიელ-ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგ-ესპანელ-ბერძენ-ბულგარელ-ინდოელ-ბრაზილიელ-ინდონეზიელ-



თბილისი. სანაპირო დღეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

გულის სიმართლე

მარიამ გარიყულის ორი კრებული

მშობლიური ხალხის სიკეთისათვის უანგაროდ დამაშვრალ იმ ხელმაღლიან ქართველ მანდილოსანთა შორის, რომელთა შინაარსიანი ცხოვრება და კეთილი ფასელის გამდვიველი შემოქმედებითი ნააზრევი ჰეშმარიტად ამშვენებს ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურს, მომავალი თაობები ყოველთვის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მოიხსენიებენ მარიამ გარიყულის (1883-1960 წ.წ.) სახელს.

„... სიმართლისათვის ბრძოლა იყო მისი მოწამისი. როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მარიამ გარიყული შეურიგებელი მოძულე იყო ძალმომრეობის, იგი იყო ხალხის ინტერესების თავგამოდებული დამცველი, რეალისტი, დემოკრატი მწერალი“ — აღნიშნავდა ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

სწორედ მაღალი ჰუმანისტური იდეებით, შშობიერი ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნვის წმიდა გრძნობით არის გამთბარი მწერალი ქალის მთელი შემოქმედება. ხალხი კი, ყოველთვის შეიყვარებს, მოუვლის და თავის გულში სათუთად შეინახავს ასეთ შემოქმედებას.

მაგრამ მარიამ გარიყული იყო არა მარტო მებრძოლი, არამედ მხატვრული სიტყვით აღჭურვილი მარილი მემატიანეც. მისი მოთხრობები, რომანები და მემუარული ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც მკითხველის დაინტერესებასა და ყურადღებას იქცევენ მწერლის ფაქიზი თვალით დანახული და მადლიანი ოსტატის ხელით დახატული დრამატული სიტუაციებით, მკაფიო კოლორიტული სურათებით და ფსიქოლოგიური დაკვირვებებით, რეალისტურად ასახავენ და აცოცხლებენ ქართველი ხალხის როგორც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

მარიამ გარიყულის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მკითხველმა მწერლის ნაწარმოებთა ორი კრებული მიიღო. პირველი — „საიდუმლო“ გამოსცა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, ხოლო მეორე „ანარეკლი“ (რუსულ ენაზე) — მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „მხატვრულმა ლიტერატურამ“. ორივე კრებულთან ახლავს გიორგი ნატროშვილის ბიოგრაფიულ-კრიტიკული წერილები.

მწერალი ქალის თხზულებათა ეს ორი კრებული, რომლებშიც ამ საინტერესო და ორიგინალური შემოქმედის საუკეთესო ნაწარმოებებია დაბეჭდილი, ნამდვილად დამშვენებენ მხატვრული სიტყვის მოყვარული ყოველი ადამიანის წიგნის თაროს.

ახალი სკოლები, ახალი სიხარული

ზუგდიდი. (საკ. კორ.). თითქმის ყოველწლიურად იგება სკოლის ახალი შენობები ქალაქ ზუგდიდსა და მის რაიონში.

პირველად შეაღეს მოსწავლეებმა მახარაძის ქუჩაზე ტიპური პროექტით აგებული საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობის კარი.

ახალი სკოლის მიღება იზეიმეს რუხ-აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლეებმაც.

დიდი სოფელია დარჩელი. აქ დღემდე არ იყო საშუალო სკოლის შესაფერისი შენობა. პირველ სექტემბერს მოსწავლეები მერხებს უკვე სკოლის ახალ სამსართულიან შენობაში მიუსხდნენ. ნათელ საკლასო ოთახებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში შვიდასამდე მოსწავლე იძენს ცოდნას.

მოკლედ

☐ **გათუში.** (საკ. კორ.). **გაზი მტკაცედ მკვიდრდება აჭარის ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებაში. ახლა გაზით სარგებლობს 10.500-ზე მეტი ოჯახი, 570 კომუნალური და საყოფაცხოვრებო დაწესებულება.**

☐ **ტყიბულ-ქვანახშირის** ტრესტის ლენინის სახელობის შახტის სასწავლო კუნძტში შედგა ფაქიზი ანგარიშის სამთო მუშების მორიგი გაკოუშვება. თორმეტმა დამხმარე მუშამ მიიღო მეშახტის წამყვანი პროფესიის მოწმობა.

ს. მთაგორიძე.

ექსკურსიაზე მოსკოვში

ბიათურა. (საკ. კორ.). **ამას წინათ დიმიტროვის სახელობის მაღაროს მშრომელთა ერთი ჯგუფი გავემგზავრა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.** სამთოელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი ალ. მეცხოვრიშვილი. ჯგუფში შედიოდნენ წარჩინებული მაღაროელი ბ. აბრამიშვილი, მეექსკავატორე მ. ღოანოიძე, მაღაროს გამგე შ. სამყურავილი, მესამე საწარმოო უბნის უფროსი შ. აბეანდაძე, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის უფროსი ჯ. ინჭკიტიძე და სხვები.

მაღაროელებმა დათვალიერეს კრემლი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და მუზეუმი, მეტროპოლიტენი, დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და მშენებლობანი, გაეცნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

„წინანდალს“ — ოქროს მედალი

იუბილეს ლაბეის ქალაქ ლიუბლიანადან, სადაც ტრადიციულად იმართება საერთაშორისო ღვინოების საერთაშორისო კონკურსი, წინანდლის ღვინის ქარხანაში სასახარულო ცნობა მოვიდა — ღვინო „წინანდალი“ დაჯილდოებულია ოქროს მედლით. ახლა „წინანდალი“ ორი ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლის „მფლობელია“.

ღვინის ქარხნის კოლექტივში ახალმა ჯილდომ ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია. წინანდლელებმა იკისრეს მომდინარე წელს გადაამუშავონ 5.500 ტონა ყურძენი და სამშობლოს მისცენ 374.000 დეკალიტრი ღვინო.

ს. ჟოჩლაძე,
საკ. კორ.

„საქართველოს აგიტპროპერი“ № 17

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეჩვიდმეტე ნომერი.

ცხენოსანთა ასპარეზობა

გუშინ თბილისის იპოდრომზე (ისევე როგორც კვირის), მაყურებლები წარმტაცი ასპარეზობის მოწმენი იყვნენ.

რუსული „ტროიკების“ შეჯიბრებაში 1.800 მეტრზე (ვალამაშვილ ოდესის სახელობის პრიზი), **უკრაინის გუნდმა (მეეტლე ვ. ეფიმოვი) ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დამყარა — 2 წუთი და 2,8 წამი.**

მაყურებლები შეუნელებელი ინტერესით აღევნებდნენ თვალს დღეს 1.600 მეტრზე, სადაც მხედრები ქალები იყვნენ. გათამაშდა ანგარის სახელობის პრიზი. აქ უძლიერესი აღმოჩნდა რუსეთ წარმომადგენელი **ი. მიხალჩენკო.** მან დისტანცია 1 წუთსა და 47 წამში დაფარა.

ჩინებული სტარტი აიღო 7 კილომეტრზე დღეში 12 წლის ბიჭუნამ — ს. ყოლდობაევმა. იგი უბელო ცხენზე იჯდა. სამი წრე ყოლდობაევმა ისე გაიარა, რომ ეჭიდრობა არავისათვის დაუთმია, მაგრამ უკანასკნელ წრეში შეანელა ტემპი და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. პირველობა ხვდა **ი. ბრიუზოვიცკის** (ყირგიზეთი).

დღეში 1.800 მეტრზე, სადაც გათამაშდა სომხეთის პრიზი, პირველი ადგილი დაიკავა **ვ. ტრუშნიკოვმა** (ერევნის ცხენოსნობის სპორტული სკოლა); დაბრკოლებათა გადალახვაში ყველას სძლია **ა. პოპოვმა** (უზბეკეთი), გუნდურ პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავა **რუსეთ ცხენოსანთა კოლექტივმა;** ქ. რიგის პრიზი 2.400 მეტრზე დღეში ხვდა **ფ. როსიპკოს** (რსფსრ, ცხენი „ტემბრი“).

სხვადასხვა დღეებში პრიზები მოიპოვეს **ა. ტაგიევმა, ნ. ტემირბულატოვმა, ვ. არხიპოვმა, ფ. იაგუბოვმა, ა. კაპუშევმა, ი. ზატულამ, ა. პასტუხოვმა, ა. ბატრაკოვმა, ა. ვიუნოვმა** და **ე. იუხანოვმა.**

ამავე დღეს გაიმართა ცხენოსნური თამაშები. ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის გუნდების პაექრობა „ჩოგანში“ დამთავრდა ტაჯიკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1. „ნიხაკი-ნეტუმში“ წარმატება ხვდათ სომხეთის ცხენოსნებს, რომლებმაც მოუგეს საქართველოს გუნდს 20:19. ისინდში გუდაუთელებმა მოუგეს ჩოხატაურის გუნდს 14:9. მატჩი ცხენბურთში გულრიფშისა და გუდაუთის გუნდებს შორის დამთავრდა გუდაუთელთა გამარჯვებით 13 : 3.

ცხენოსანთა მორიგი შეხვედრები შედგება 12 და 13 სექტემბერს.

ლიდერია ულმანი

ხუსე რაულ კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ჰავანაში გათამაშდა ათი ტური.

მეცხრე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა სუსტად ჩაატარა პარტია უნგრელ ფოსმაისტერ პორტიშთან. მართალია, ეს პარტია არ დამთავრებულა, მაგრამ სმისლოვის პოზიცია არასახარბიელოა. გადაიდო აგრეთვე ტაიმანოვისა და ხიმენესის პარტია.

მეათე ტურში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ულმანმა სატურნირო ცხრილში ნახევარი ქულა ჩაიწერა, იგი რვა ქულით კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას. ევანსს შვიდი ქულა აქვს, სმისლოვს — ექვსნახევარი ქულა და ერთი გადადებული პარტია.

პრეზიდენტთა შეხვედრები

გუშინ სოხუმში დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეზიდენტთა ტურნირი ჭადრაკში ქალთათვის.

ყურადღების ცენტრში იდგა საბჭოთა მოჭადრაკეების კ. ზვორიკინასა და ტ. ზატულოვსკაიას პარტია. კ. ზვორიკინამ აღმავლობით ჩაატარა ბრძოლა და პირველი გამარჯვება მოიპოვა. სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა აგრეთვე პოლონელმა მოჭადრაკე გ. კონარკოვსკამ. მან დაამარცხა არგენტინელი მოჭადრაკე ს. მოსჩინი.

იუგოსლავიელი მოჭადრაკეების კ. ოფანოვიჩისა და ვ. ნედელკოვიჩის პარტიაში ფესვირებულ იქნა ყაიმი. ასეთივე შედეგებით დამთავრდა ე. ყარაკაშევისა (უნგრეთი) და ა. კუშნირის, აგრეთვე ა. ივანოვა (ბულგარეთი) - ვ. ბორისენკოს პარტიები.

ლენინგრადის კორესპონდენტი

ლენინგრადში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დმიტრიევა - ბანკლე, ტროშინა - ერმოლოვა. დღეს მეოთხეფინალში შეხვდებიან მეტრეველი და პოტანინი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲞᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘ Ტ. ᲝᲜᲝ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ცნობილი გახდა იმ სპორტსმენის სახელი, რომელიც XVIII ოლიმპიური ასპარეზობის გახსნის ცერემონიაზე დადებს ოლიმპიურ ფიცს. ეს არის გამოჩენილი იაპონელი ტენმოგარჯიში, ჰელსინკის, მელბურნისა და რომის ოლიმპიადების მონაწილე ტ. ონო. იგი დანიშნეს აგრეთვე იაპონიის ოლიმპიური გუნდის კაპიტნად. გუნდის მედროშე კი იქნება 24 წლის მოცურავე მ. ფუკუი, რომელიც რომში მიიღო ვერცხლის მედალი.

„ᲐᲠᲒᲝ“ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ აფრიკის სანაპიროებიდან ფოთის ნავსადგურში მოვიდა სევასტოპოლის საკავშირო სამმართველოს ტრაულერი „არგო“. ფოთელი კოლეგები გულთბილად შეხვდნენ „არგოს“ ეკიპაჟს.

თევზსაჭერი ტრაულერის რეისების შესახებ კაპიტან-დირექტორმა სერგეი კოტეშენკომ გვიამბო:

— ჩვენი ტრაულერი იმავე ტიპისაა, როგორისაც „შოთა რუსთაველი“ და „ვედი“. იგი ბერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აიგო. ნ აგვისტოს შესრულდა ერთი წელი, რაც ჩვენს ტრაულერზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი აღიმართა.

ამ ხნის მანძილზე ორი რეისი განვახორციელეთ აფრიკის სანაპიროებამდე ატლანტიკის ოკეანეში, დავიჭირეთ 61.360 ცენტნერი თევზი და გადავამუშავეთ 3.020 ცენტნერი თევზის ფქვილი. ნაწილი ამ ნადავლისა ჩავაბარეთ საბჭოთა ფლოტილიის მცურავ ბაზებს, ხოლო ნაწილი — განთავისუფლებული აფრიკის ქვეყნებს: განის, ტოგოს და სხვა რესპუბლიკებს. დანიშნულების ადგილზე ჩამოვიტანეთ 480 ტონა თევზი და 26 ტონა თევზის ფქვილი.

ჩვენი ეკიპაჟის ყველა წევრი ქართველი კოლეგებისადმი დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული. ამის ნათელი დადასტურება იყო ჩვენი შეხვედრა ტრაულერ „გედის“ ეკიპაჟთან ოკეანეში. მათ გულთბილი მოკითხვა დაგვაბარეს თქვენთან.



ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲣᲚᲔᲠᲘ „ᲐᲠᲒᲝ“

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ

Ჯ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

* * *

სურათზე: ტრაულერი „არგო“ ფოთის ნავსადგურში.

ფოტო **რ. ღვამიჩავასი.**

ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ნახევარფინალურ მატჩში სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ბაექრობა უხვგოლიანი აღმოჩნდა. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ნახევრის დასაწყისში კიეველებმა ორი ბერთი გაიტანეს ზედიზედ, რაზედაც სპარტაკელებმა ბოლოდ ერთით უპასუხეს.

გაიმარჯვა კიევის „დინამომ“ ანგარიშით 3:2 და ფინალში გავიდა.

ᲕᲐᲠᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲕᲐᲠᲜᲐᲕᲘ (ბულგარეთი) მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. სხვებთან ერთად მასში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები გელერი და ვასიუკოვი. გათამაშდა სამი ტური. წინ არიან გელერი, ვასიუკოვი და გორტი, რომელთაც ორორი ქულა აქვთ.

ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში „ომედის თასზე“. საქართველოს ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მას ხვდა ანგარიშით 7:1.

ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ზონაში პირველი ადგილი დაიკავა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ, 9 სექტემბერი. (საკდესი). კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მეორე მატჩშიც გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა. საბჭოთა სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი უპირატესობით დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი — 71 : 34 (30 : 16). ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი იყვნენ ლ. კუკანოვა, რომელმაც გუნდს 17 ქულა შესძინა, ს. ლიდეკო და რ. მიხაილოვა — 9-9 ქულა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 8-08-67, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-89, მრეწველობის — 8-20-48, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲗᲘ 01334 საკ. კპ ცკ-ს გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ 11 სექტემბერი

06.35 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 09.15 — საგუნდო სიმღერები ქართული ოპერებიდან, 11.15 — კონცერტი რ. გლიერის ნაწარმოებებიდან, 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.20 — რადიონარკვევი „კომპოზიტორი — ტრიბუნი ეილსერი“, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა „მოსწავლეთათვის“, 18.10 — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი, 18.45 — კორელი. სამი პიესა სიმებიანი ორკესტრისათვის, 19.30 — გადაცემა — „რეიდი სასოფლო მშენებლობებზე“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 21.00 — „ძიღისპირული“, 21.15 — კონცერტი, 21.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 23.30 — ქართული პოპულარული რომანსები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ 11 სექტემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის. — მხატვრული ფილმი „პატარა მეოცნებეები“, 19.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი“, 19.25 — გადაცემა — „ჩვენი ქალაქის მშენებლობებზე“, 19.40 — განცხადებები, 19.45 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, 20.05 — გადაცემა „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი“ (რუსულ ენაზე), გადაცემა მეორე), 20.25 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 21.05 — მხატვრული ფილმი „პოლკის ქალიშვილი“, 22.30 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ᲞᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ Ი ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდება პროფესორ ალექსანდრე სტუდიტსკის სტატია კიბოს ზოგიერთი პრობლემის შესახებ — „ოცნება თუ სამუშაო ჰიპოთეზა?“ ახალი ამბების სააგენტო ჟურნალის რედაქციის ნებართვით აქვეყნებს ამ სტატიას მკითხველთა საყურადღებოდ.

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ?

ᲙᲘᲑᲝᲡ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ყოველთვის, როცა იმ სათავსში შედგიარო, სადაც ჩვენი საცდელი ცხოველები იმყოფებიან, აუცილებლად მომივლის სურვილი მივიდე იმ გალიასთან, სადაც საკმაოდ ფალი, კარგი კატის კნუტის ოდენა ვირთაგვა ზის. მოლაღ ჩვეულებრივი თეთრი ვირთაგვა, როგორებსაც საექსპერიმენტო სამუშაოებისათვის მსოფლიოს ყველა ბიოლოგიურ ლაბორატორიაში იყენებენ. მხოლოდ იგი ძალიან ბებერია, მისი ასაკი, ადამიანის ასაკს რომ შევადაროთ, ას წელს მაინც უახლოვდება.

ვირთაგვა, როგორც ცხობარებმი ამტკიცებენ, სამუალოდ სამ წელიწადს ცოცხლობს, ეს კი სამწლინახევრისაა. მაშასადამე, მან უკვე გადაამტა სიცოცხლის საშუალო სანგრძლივობას და ამის ზევით კიდევ ერთი მეექვსედი იცოცხლა; იგი ჩვენი კლინიკის ვეტერანია.

მაგრამ ამ ცხოველში ყველაზე საოცარია არა ის, რომ ასე დიდხანს იცოცხლა. საქმე ის არის, რომ ამ ვირთაგვას დიდხანს სიცოცხლე ᲩᲔᲡᲗᲝᲐᲠᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. სამწლინახევრის წინათ მას, თავის 100 თანატოლთან — სამი თვის ვირთაგვებთან ერთად, გაუკეთდა რენტგენის სხივებით მოსხივება ისეთი დოზით, რომლითაც მოსხივებულ ცხოველთა ნახევარი განწირული იყო ერთ თვეში სიკვდილისათვის, მეორე ნახევარი კი სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლებისათვის. (რენტგენის სხივები ეგრეთწოდებული მაინონიზებელი რადიაციის ჯგუფს ეკუთვნიან. ექსპერიმენტში მოსხივებით დაავადების ერთ-ერთი შედეგია კიბო).

ამ ვირთაგვას 99-ვე თანატოლი დაიღუპა. 50—მოსხივებიდან ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენი—მომდევნო წლინახევრის — ორი წლის მანძილზე. მათი უმრავლესობის დაღუპვის მიზეზი კიბო იყო. მაგრამ რამდენიმე ვირთაგვამ სიცოცხლის თითქმის ზღვრულ ხანგრძლივობას მიაღწია: ისინი დაიღუპნენ სიცოცხლის მეხუთე წლის დასაწყისში ან შუახანებშიც კი. ხოლო ეს, უკანასკნელი, დღემდე ცოცხალია. აი რატომ არის, რომ ყოველთვის ასეთი ინტერესით ვაკვირდები ამ ვირთაგვას!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კიბო იმ ქსოვილების ზედმეტად გაზრდაა, რომლებიც სიმსივნეურ გარდაქმნას განიცდიან. სიმსივნის უჯრედები პარაზიტული უჯრედებია; ისინი ემსგავსებიან ერთუჯრედიან ორგანიზმებს, რომლებიც პარაზიტულად ბინადრობენ ცხოველებისა და ადამიანის სხეულში: მალარიის პლაზმოდიუმს, დიზენტერიის ამებას, ლეიშმანიოზისა და სხვა ავადმყოფობათა აღმძვრელებს. მხოლოდ ამ მიკროსკოპულ ცხოველთაგან განსხვავებით სიმსივნის უჯრედები გარედან კი არ შეაღწევენ ადამიანისა და ცხოველთა ორგანოებში, არამედ წარმოიქმნებიან კანის, ლვიძლის, თირკმლების ნორმალური უჯრედებიდან, ძვლის, კუნთისა და სხვა ქსოვილებიდან. ჩვენ არ ვიცით, რა მოსდით უჯრედებს, რაც ისინი თავიანთ სამსახურს წყვეტენ. ჩვენ მხოლოდ ვხედავთ, რომ კიბოს უჯრედები აღარ ემორჩილებიან ორგანიზმს: ორგანიზმს აღარ შეუძლია, რომ კანს, როგორც წინათ, თავისი სხეული დაეფარვინოს — კანის სიმსივნეები ყოველთვის დაწყლულებულია. ორგანიზმს აღარ შეუძლია თავისი ნერვების საშუალებით გამოიწვიოს საკმლის მომნელებელი წვენის გამოყოფა ან კუნთის შეკუმშვა, თუ ამ ორგანოებს ქსოვილებმა სიმსივნური გარდაქმნა განიცადეს. ორგანიზმს არ შეუძლია თავისი ჰორმონებით გავლენა მოახდინოს ძვლების ზრდაზე — სიმსივნით შეპყრობილი ძვლის ქსოვილი გზაბნეულად იზრდება.

რა არის მიზეზი?

ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი თვითეული სპეციალისტისათვის, რომელსაც უჯრედების სიმსივნური დაავადების ბუნებაზე უფიქრნია.

არანაკლებ კარგად არის ცნობილი ისიც, რომ დაავადება შეიძლება გამოწვეულ იქნას სულ სხვადასხვა მიზეზით.

უწინარეს ყოვლისა, კანცეროგენური ფაქტორები. მაიონიზებელი რადიაციის კანცეროგენური მოქმედება გამოვლინებულ იქნა ერთ-ერთი პირველი. 10-15 წელიწადი რომ გავიდა მას შემდეგ, რაც რენტგენის სხივები მედიცინის პრაქტიკაში შემოვიდა, აღინიშნა, რომ მაღალი დოზებით რენტგენული მოსხივება ცხოველის ქსოვილთა კიბოურ გარდაქმნას იწვევს. შემდეგ იგივე გამოირკვა ულტრაიისფერი სხივებისათვის. მნიშვნელოვნად უფრო ადრე გამოირკვა რადიოაქტიურ ნივთიერებათა კონცეროგენური მოქმედება.

მაგრამ უკვე მეორე მსოფლიო ომის შედეგზე, ხიროსიმასა და ნაგასაკიში ამერიკული ატომური ბომბების აფეთქების შედეგზე, გამოირკვა, რომ საერთო მოსხივება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორგანიზმი გაუძლებს, საბოლოო ანგარიშით იწვევს კიბოთი დაავადებას. სხივური კიბო ჩვენს დროში მსოფლიოს ონკოლოგთა ყურადღების ცენტრში დგას.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ კანცეროგენური აგენტებიდან, რომლებიც შესწავლილია ექსპერიმენტში. ახლა ქიმიური კონცეროგენები? ვინ არ იცნობს ლეგენდად ქცეულ ამ ამბავს, რომ ინგლისელი პარკის კიბოთი ავადდებოდნენ. დაავადებას იწვევდნენ განსაკუთრებული ნახშირწყალბადები, რომლებსაც ქვანახშირის ᲞᲘᲩᲠᲘᲡ ᲞᲘᲩᲠᲘᲡ ᲞᲘᲩᲠᲘᲡ